

ეპროპული ქარტია და ეროვნულ უმცირესობათა ენების საკითხი საქართველოში

ქართველი ერის ერთაშორისი ურთიერთობების კულტურა, მისი ტოლერანტული სული სხვა ხალხებთან საუკუნეების მანძილზე ერთობლივი ცხოვრების პირობებში იწრთობოდა. საქართველოს მრავალსაუკუნოვანი ისტორია არ იცნობს არც ებრაელთა და არც სხვა ხალხების დარბევებს. საქართველოში მცხოვრებ ეროვნულ უმცირესობებს ყოველთვის ჰქონდათ შესაძლებლობა განევითარებინათ საკუთარი ტრადიციები და თვითმყობადი კულტურა, თავისუფლად ესარგებლათ საკუთარი ენით. ქართული სახელმწიფო პატივისცემით ეპყრობოდა განსხვავებული აღმსარებლობის ადამიანთა რწმენასაც. ამის ნათელი მაგალითია თბილისში, საქართველოს დედაქალაქში სულ რაღაც ორას კვადრატულ მეტრზე ერთმანეთის გვერდით მართლმადიდებლური, გრიგორიანული და კათოლიკური ეკლესიების, ისლამური მეჩეთის, ებრაული სინაგოგას არსებობა.

თანამედროვე ქართული სახელმწიფოს ერთაშორისი ურთიერთობების პოლიტიკა ამ სფეროში ჩვენი ქვეყნის მდიდარ ტრადიციებს და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ მიღებული დოკუმენტების ფუძემდებლურ დებულებებს ეყრდნობა.

1992 წლის 5 ნოემბერს ევროსაბჭომ სტრასბურგში გამოაქვეყნა „ევროპული ქარტია რეგიონული ან უმცირესობის ენების შესახებ“. 1992 წლის 18 დეკემბრის №47/135 რეზოლუციით გაერომ მიიღო დეკლარაცია: „ეროვნულ ან ეთნიკურ, რელიგიურ და ენობრივ უმცირესობათა უფლებები“. გაეროს ამ დეკლარაციის საფუძველზე 1995 წლის 1 ნოემბერს ევროსაბჭომ მიიღო „ჩარჩო კონვენცია ეროვნულ უმცირესობათა შესახებ“. 1995 წელს ჰააგაში შემუშავდა „რეკომენდაციები ეროვნულ უმცირესობათა განათლების უფლებათა შესახებ“. ამ დოკუმენტს 3 წლის შემდეგ მოჰყვა ეროვნულ უმცირესობათა ენობრივი უფლებების დამცველი დოკუმენტიც: „ოსლოს რეკომენდაციები ეროვნულ უმცირესობათა ენობრივ უფლებებთან დაკავშირებით“ (თებერვალი, 1998 წელი), სადაც დეტალურადაა ჩამოყალიბებული მოცემულ სახელმწიფოში ეროვნულ უმცირესობას მიკუთვნებული საზოგადოების ენობრივი უფლებები.

ქარტიის მიხედვით, ეთნიკურ უმცირესობებს გააჩნიათ მშობლიურ ენაზე ბაგა-ბალების, სკოლებისა და უმაღლესი სასწავლებლების გახსნის უფლება (მე-8 მუხლი, გვ. 6-8); სახელმწიფო ვალდებულია მოთხოვნის შემთხვევაში სისხლის სამართლის, სამოქალაქო თუ ადმინისტრაციული საქმის წარმოებისას სასამართლო მოსმენა უმცირესობების მშობლიურ ენაზე წარმართოს; ზეპირი თუ წერილობითი ჩვენებები არ უნდა ჩაითვალოს მიუღებლად მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი რეგიონულ ან უმცირესობის ენაზეა შედგენილი; საქმესთან დაკავშირებული დოკუმენტების სახელმწიფო ენაზე შედგენისას, აუცილებლობის შემთხვევაში, პროცესში უნდა ჩაერთოს თარჯიმანი. წევრ სახელმწიფოებს ქარტია, ასევე, ავალდებულებს წარმოებაში მიიღონ რეგიონულ ან უმცირესობის ენაზე შედგენილი დოკუმენტები (მე-9 მუხლი, გვ. 8-10); ხელისუფლებამ უნდა გააკონტროლოს, რომ დოკუმენტები და ბლანკები მოსახლეობისთვის ხელმისაწვდომი იყოს რეგიონულ ან უმცირესობათა ენებზე ან წარმოდგენილი იყოს ორენოვანი ვარიანტით (მე-10 მუხლი, გვ. 11-13); ქარტიის მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ რეგიონულ ან უმცირესობის ენებზე, სულ მცირე, თითო სატელევიზიო და რადიო არხის მაუწყებლობა, ან ტელერადიომაუწყებლობის სტრუქტურებში გაითვალისწინონ პროგრამები რეგიონულ ან უმცირესობების ენებზე. იგივე რეგულაციები ეხება გაზეთებსაც. ასევე, ქარტიის მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ მეზობელი ქვეყნებიდან თავისუფალი იყოს ტრანსლაცია, იმ ენაზე, რომელიც ახლობელი ან იდენტურია უმცირესობისთვის (მე-11 მუხლი, გვ. 13-14); ქარტიის ხელმძღვანერი სახელმწიფოები ვალდებული არიან ხელი შეუწყონ უმცირესობების ენებზე შექმნილ ნაშრომებზე ხელმისაწვდომობის სხვადასხვა საშუალებებს, საზღვარგარეთის ქვეყნებთან კულტურულ ურთიერთობებში სათანადო ადგილი დაუთმონ რეგიონალურ და უმცირესობათა ენებსა და იმ კულტურას, რომლის გამოსატყულებასაც ისინი წარმოადგენენ (მე-12 მუხლი, 15); ქარტიის მონაწილეები ვალდებული არიან მთელი ქვეყნის მასშტაბით გააუქმონ ქვეყნის კანონმდებლობაში არსებული ნებისმიერი დებულება, რომელიც გაუმართლებლად კრძალავს ან ზღუდავს რეგიონული ან უმცირესობათა ენების გამოყენებას ეკონომიკურ და სოციალურ საკითხებთან დაკავშირებულ დოკუმენტებში, არ დაუშვან პრაქტიკა, რომელიც მიმართულია ეკონომიკურ და სოციალურ საქმიანობაში რეგიონული და უმცირესობათა ენების გამოყენების წინააღმდეგ, ხელი შეუწყონ და წაახალისონ საზღვართშორისი თანამშრომლობა

ხელისუფლების რეგიონულ ან ადგილობრივ ორგანოებს შორის, რომელთა ტერიტორიებზეც ერთი და იგივე ენა გამოიყენება იდენტური ან მსგავსი ფორმით (მე-13 მუხლი, გვ. 16-17) და ა. შ.

ამასთან, არც ევროპული ქარტია, არც ზემოთ დასახელებული სხვა დოკუმენტები არ განმარტავენ ისეთ ეთნიკურ-ლინგვისტურ ტერმინებს, როგორცაა ავტოქთონი მოსახლეობა, ეროვნული უმცირესობა, ეთნიკური უმცირესობების ენა, დიალექტი და სხვ.

ევროპულმა ქარტიამ და ეროვნული უმცირესობების ენების შესახებ გამოქვეყნებულმა სხვა მსგავსმა დოკუმენტებმა ევროპული სახელმწიფოების დიდ ნაწილში აზრთა სერიოზული სხვადასხვაობა გამოიწვია.

ლიტვა, ლატვია და ესტონეთი მიიჩნევენ, რომ ევროპული ქარტია ვრცელდება მხოლოდ ავტოქტონ ენებზე. მათი აზრით, ქარტიის პრინციპები არ შეიძლება გავრცელდეს ეთნიკურ ჯგუფებზე, რომლებიც მხოლოდ რამდენიმე ათეული წლის წინათ პოლიტიკური მოტივებით ჩაასახლეს მათ ქვეყნებში. ესტონეთში დღემდე ერთადერთ ოფიციალურ ენად ესტონური რჩება, თუმცა ზოგიერთ მუნიციპალიტეტში, სადაც უმრავლესობას რუსულენოვანი მოსახლეობა შეადგენს, ადმინისტრაცია უზრუნველყოფს ადგილობრივი მოსახლეობის ორენოვან მომსახურებას.

ხანგრძლივი და ცხარე დებატების საგნად იქცა ევროპული ქარტიის რატიფიკაციის საკითხი უკრაინაშიც. ამ ქვეყნის ბევრი ექსპერტი თვლის, რომ ქარტიის მიზანი არა ეროვნული უმცირესობების ენების, არამედ იმ ენების დაცვაა, რომლებსაც გაქრობის საფრთხე ემუქრებათ.

1999 წლის 7 მაისს ევროპულ ქარტიაზე ხელმოწერამ, ლამის, პოლიტიკური კონფრონტაცია გამოიწვია საფრანგეთშიც. ქარტიის რატიფიცირება საფრანგეთის საკონსტიტუციო სასამართლომ დაბლოკა. სასამართლოს აზრით, ქარტიის პრინციპები წინააღმდეგობაში მოდის საფრანგეთის კონსტიტუციასთან, რომლის მიხედვითაც ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე სახელმწიფო დანესებულებებში ოფიციალური ენა არის ფრანგული. საკონსტიტუციო საბჭოს შეფასებით, ქარტიის მოთხოვნა გარკვეული ლინგვისტური ჯგუფებისათვის სპეციფიკური უფლებების მინიჭების თაობაზე ეწინააღმდეგება ქვეყნის მთლიანობის, კანონთან თანასწორობისა და ფრანგი ხალხის ერთიანობის იდეებს. 2002 წლის 29 ნოემბერს სახელმწიფო საბჭოს გადაწყვეტილებით გაუქმდა კანონი სკოლებში, კოლეჯებსა და ლიცეუმებში ორენოვანი სწავლების შესახებ. სახელმწიფო საბჭოს აზრით, ეს ცდებოდა რეგიონული ენის შესწავლის ჩარჩოებს და აკნინებდა

ფრანგულის, როგორც სახელმწიფო ენის ფუნქციას. 2003 წლის 12 მაისის დადგენილებით აიკრძალა რეგიონულ ენაზე ცალკე აღებული რომელიმე საგნის სწავლება – თუნდაც გამონაკლისის სახით.

ამის მიუხედავად, საფრანგეთის მთავრობა აღიარებს რეგიონული და უმცირესობების ენების უფლებებს შეზღუდულ ფარგლებში (მათთვის ოფიციალური სტატუსის მინიჭების გარეშე). სახელი შეეცვალა ფრანგული ენის მთავარ სამმართველოს. მას ეწოდა „ფრანგული ენისა და საფრანგეთის ენების მთავარი სამმართველო“. დაინერგა ტერმინი – „საფრანგეთის ენები“, თუმცა ფრანგულის გარდა არცერთ სხვა ენას ოფიციალური სტატუსი არ გააჩნია.

რა განაპირობებს ევროპული სახელმწიფოების ერთი ნაწილის ასეთ ფრთხილ დამოკიდებულებას აღნიშნულ დოკუმენტებთან მიერთების საკითხში?

საქმე ისაა, რომ ეროვნული უმცირესობების და მათი ენების საკითხზე გამართული ფართო დისკუსიის მიუხედავად მოცემულ ეტაპზე ვერ მოხერხდა ევროპის საბჭოს წევრ ქვეყნებს შორის ერთიანი პოზიციის შემუშავება. სწორედ ამიტომ ქარტიაზე და კონვენციაზე მიერთებისას რიგმა სახელმწიფოებმა (ავსტრია, ესტონეთი, გერმანია, ლუქსემბურგი, რუსეთი, სლოვენია, შვეიცარია, დანია, მაკედონია) გააკეთეს თავიანთი სპეციფიკის შესაბამისი შენიშვნა-განმარტებები, ან კონკრეტულად დაასახელეს ის უმცირესობები, რომლებზეც ისინი ქარტიისა და ჩარჩო კონვენციის დებულებების გავრცელებას აპირებენ.

საქართველო ევროპულ ქარტიას და ჩარჩო კონვენციას ყოველგვარი წინასწარი დათქმის გარეშე 2000 წელს შეუერთდა. 2005 წლის 13 ოქტომბერს საქართველოს პარლამენტმა ჩარჩო კონვენციის რატიფიცირება მოახდინა. ქარტიის რატიფიცირება კი, ქართულ საზოგადოებაში გაჩენილი მზარდი პროტესტის გამო, დღემდე შეჩერებულია.

ევროსაბჭოს დოკუმენტების მიხედვით, უმცირესობის ენად არ მიიჩნევა სახელმწიფო ენის სახესხვაობა და მიგრანტთა ენა: კერძოდ, ქარტიის პირველი მუხლის ა პუნქტის მეორე ნაწილში, გვ. 2, და ქარტიის 32-ე განმარტებაში ხაზგასმითაა ნათქვამი: „რეგიონალური/უმცირესობათა ენები არ გულისხმობს (არ მოიცავს) სახელმწიფოს ოფიციალური ენის სახესხვაობებს, დიალექტებსა და მიგრანტთა ენებს“.

აქედან გამომდინარეობს, რომ ევროპული სახელმწიფოები ეროვნულ და ენობრივ უმცირესობებად მხოლოდ აბორიგენ, ავტოქტონ უმცირესობებს მიიჩნევენ. გერმანიაში, მაგალითად, ამ ქვეყა-

ნაში დაბადებულ რამდენიმე მილიონ თურქს ეროვნულ უმცირესობად არ მიიჩნევენ. თურქული დიასპორის საკმაოდ ხანგრძლივი ისტორიის მიუხედავად, თურქები აქ მაინც მიგრანტებად ითვლებიან. იგივე სურათს ვხედავთ საფრანგეთში, სადაც ამ ქვეყანაში დაბადებული ალჟირელები კვლავაც მიგრანტებად რჩებიან, ინგლისში, სადაც წარმოშობით ინდოელებს მსგავსი სტატუსი უნარჩუნდებათ და ა. შ. თავისი სპეციფიკიდან გამომდინარე ერთადერთ გამონაკლისს ამ მხრივ მხოლოდ აშშ წარმოადგენს.

ზოგჯერ ექსპერტებისა თუ ხელისუფლებების მიერ მოულოდნელ ინტერპრეტაციებსაც ვხვდებით; მაგალითად, პოლონეთის ხელისუფლებისთვის „ეროვნული უმცირესობა“ არის სხვაგან სახელმწიფოებრიობის მქონე, მაგრამ პოლონეთშიც მცხოვრები ეროვნება (მაგ. გერმანელები პოლონეთში); ხოლო „ეთნიკური უმცირესობა“ არის სახელმწიფოებრიობის არმქონე სხვა ეთნიკური ჯგუფი, რომელიც პოლონეთშიც ცხოვრობს (მაგ., ბოშები); ზოგი ექსპერტის მიერ პოლონეთში ავტოქთონ უმცირესობად ჩათვლილია სომხების ეთნიკური ჯგუფიც კი და, რაც უფრო გასაკვირია, ამ „ავტოქთონი ჯგუფის“ ენად ითვლება დღეს უკვე მკვდარი ენა – ძველი სომხური.

ქარტია არ იძლევა ენობრივი უმცირესობის ცნების განსაზღვრებას“ ... ქარტია არც იმას განსაზღვრავს თუ „რა შემთხვევაში შეიძლება ჩაითვალოს ცალკე ენად გამოხატვის ესა თუ ის კონკრეტული ფორმა“. ის იძლევა თავის ხედვას რეგიონალური და უმცირესობის ენის ზოგადი დეფინიციის თაობაზე: **„რეგიონალური ენა არის სახელმწიფოში მცხოვრები იმ ავტოქთონი ეროვნული/ეთნიკური უმცირესობის ენა, რომელიც უმრავლესობაა მოცემულ რეგიონში, ხოლო უმცირესობის ენაა ისეთი ავტოქთონი ეთნიკური უმცირესობის ენა, რომელიც რიცხობრივ უმცირესობაშია თავისსავე რეგიონში“** (ქარტიის I მუხლი და ქარტიის მე-18 განმარტება); თუმცა, იქვე განმარტავს, რომ **„ქარტია პრეროგატივას ანიჭებს კონკრეტული ქვეყნის ხელისუფლებას, დემოკრატიული პრინციპების გათვალისწინებით თავად განსაზღვროს ის კრიტერიუმები, რომლებზე დაყრდნობითაც ამ ქვეყნის ტერიტორიაზე გავრცელებულ ამა თუ იმ ენას მიენიჭება დამოუკიდებელი ენის სტატუსი“** (32-ე განმარტება; აგრეთვე, ქარტიის განმარტებების მე-18 ნაწილი).

ევროპული ქარტია მკაფიოდ განსაზღვრავს, რომ სახელმწიფომ პირველ რიგში, უნდა იზრუნოს იმ ეროვნული უმცირესობების ენებზე, რომლებსაც გადაგვარების (გაქრობის) საფრთხე ემუქრებათ.

ემუქრებათ თუ არა ასეთი საფრთხე საქართველოში მცხოვრები ეთნიკური ჯგუფების ენებს?

საქართველოში მცხოვრები ეთნიკური ჯგუფების ენებიდან ქვეყნის ფარგლებს გარეთ დაცვის ყოველგვარ მექანიზმებს მოკლებული არიან ასურული, უდიური, ქურთული, და აფხაზური ენები. ყველა დანარჩენ უმცირესობას საქართველოს ფარგლებს გარეთ გააჩნია სახელმწიფო ან სახელმწიფოებრივი წარმონაქმნი, რომლებიც ამ ეთნოსების ენების შენარჩუნება-განვითარებაზე ზრუნავენ. საქართველოში არ ხდება და ვერც მოხდება რუსული, აზერბაიჯანული, სომხური და სხვა მათი მსგავსი ენების განვითარება. ეს ენები წარმატებით ვითარდებიან მეზობელ სახელმწიფოებში, საქართველოში მცხოვრებ მათ დიასპორებს კი ამ ენების არა განვითარება, არამედ – თავისუფალი ფლობა ევალებათ.

სწორედ, ასე აღიქვამს ქარტიის პრინციპებს ევროპული სახელმწიფოების დიდი ნაწილი, რაც ასეთი ჯგუფებისთვის რეგიონული ენის სტატუსის მინიჭებას გამოორიცხავს. ამის მიუხედავად, საქართველოში ადგილი აქვს ზემოთმხმობილი დოკუმენტების არაადეკვატურ ინტერპრეტაციას არა მხოლოდ ეთნიკური და ენობრივი უმცირესობების, არამედ არასამთავრობო ორგანიზაციების ერთი ნაწილის და თვით ხელისუფლების უმეტესი წრეების მხრივაც კი. მაგალითად, ჯავახეთის სომხების ერთი ნაწილი წლებია დაჟინებით ითხოვს ჯავახეთის ორ რაიონში – ნინოწმინდასა და ახალქალაქში სომხური ენის რეგიონულ ენად გამოცხადებას და თავის ამ მოთხოვნას სწორედ ევროპული ქარტიის მისთვის მისაღები ინტერპრეტაციის გზით „ასაბუთებს“. ეროვნული პრობლემებისადმი ნიჰილისტურად განწყობილი საქართველოს პარლამენტის ნაციონალური უმრავლესობა, თავის დროზე, სერიოზულად განიხილავდა ქარტიის რატიფიცირების საკითხს. საქართველოში აშშ-ის ელჩი ჯონ ტეფტი ვაშინგტონისთვის, 2008 წლის 29 სექტემბერს, მინერილ ტელეგრამაში „კანონიერად“ მიიჩნევდა ეთნიკური სომხების მიერ საქართველოში სომხური ენის რეგიონულ ენად გამოცხადებას. 2013 წელს ახალქალაქის საკრებულოს დეპუტატებმა საქართველოს პარლამენტის წინაშე დააყენეს საკითხი ევროპული ქარტიის რატიფიცირების შესახებ.

ევროპული სახელმწიფოებისგან განსხვავებით საქართველოში ძალზე დაბალია სამოქალაქო იდენტიფიკაციის დონე. ამის გამო აქ მცხოვრები ეთნიკური ჯგუფები თავს ისტორიული სამშობლოს წარმომადგენლებად აღიქვამენ და არა ერთიანი ქართული სამოქალაქო საზოგადოების წევრებად. საქართველოში სამოქალაქო იდენტობის ჩამოყალიბებას ისტორიული სამშობლოს საზღვრების სიახლოვეს ეთნოუმცირესობების კომპაქტური დასახლებების არსებობაც აფერ-

ხებს. ევროპული ქარტია აღიარებს მშობლიურ ენაზე ეთნიკური უმცირესობებისთვის განათლების მიღების უფლებას და ჩვენ დიდი ხნის განმავლობაში სრულიად გულწრფელად მოგვექონდა კიდევ თავი ქვეყანაში არაქართულენოვანი სკოლების სიუხვით, რადგან ეს ფაქტი ეთნიკური უმცირესობების უფლებების დაცვად მიგვაჩნდა. მაგრამ ასეთი სკოლების სიუხვე ეთნიკური უმცირესობების ჯგუფებში სახელმწიფო ენის ცოდნის გავრცელების სერიოზული შემაფერხებელი ფაქტორია. არაქართულენოვანი სკოლების მეშვეობით სახელმწიფო საკუთარ მოქალაქეებს, ფაქტიურად, ემიგრანტებად ამზადებს, უსპობს მათ ქვეყნის შიგნით სამსახურებრივი წარმატების შანსს. მაშინ, როდესაც საქმის წარმოება მთელ ქვეყანაში სახელმწიფო ენაზე მიმდინარეობს, სახელმწიფო ენაზე მაუწყებლობს ტელევიზია და რადიო, გამოიცემა ჟურნალ-გაზეთების აბსოლუტური უმრავლესობა, ქართული ენის უცოდინრობა ან სუსტი ცოდნა ადამიანს საშუალებას არ აძლევს მოახდინოს თავისი შესაძლებლობების რეალიზაცია. ასეთ შემთხვევაში საუკეთესო გამოსავალი ემიგრაციაა. ალტერნატივა ისეთი მიკროსივრცის შექმნაა, სადაც ქართული ენის გარეშეც იოლად გახვალ. სწორედ ამის შედეგია ჯავახეთის სომხური მოსახლეობის მიერ დროგამოშვებით სომხური ენისთვის რეგიონული სტატუსის მინიჭების მოთხოვნის გაჟღერება.

ერთიანი სამოქალაქო სივრცის შექმნას ხელს არ უწყობს პრაქტიკა, როდესაც მოქალაქეთა ნაწილი რუსთაველისა და ილიას შემოქმედებაზე (ქართველები), ნაწილი დავით სასუნცის ეპოსზე (სომხები), ნაწილი პუშკინისა და ლერმონტოვის პოეზიაზე (რუსები), ნაწილი კი – ყურანისა და შარიათის ფასეულობებზე (აზერბაიჯანელები) აღიზრდებიან. ქვეყნის ძირითადი საგანმანათლებლო სივრცე სახელმწიფოს ძირითადი ეთნოსის ენის გამოყენებას უნდა ეფუძნებოდეს. მხოლოდ ასე შეიძლება სახელმწიფოს მოქალაქეთა სოციალურ-პოლიტიკური ერთობის მიღწევა.

სხვათაშორის, ეთნიკური სომხების გაცილებით დიდი კომპაქტური დასახლებებია რუსეთში (დონის როსტოვი, მოსკოვი, არმავირი და ა. შ.), შეერთებულ შტატებში (ლოს-ანჯელესი), არგენტინაში, საფრანგეთში და სხვ. თუმცა, არცერთ ამ ქვეყანაში სომხებს მშობლიურ ენაზე სკოლები არ გააჩნიათ. და ეს არა იმიტომ, რომ ადგილობრივი ხელისუფლება ეწინააღმდეგება ასეთი სკოლების გახსნას – სომხებს თავისუფლად შეუძლიათ გახსნან სომხურენოვანი კერძო სკოლები თავიანთი კომპაქტური დასახლების ადგილებში, მაგრამ მათ ეს არ სურთ, რადგან მშვენივრად ესმით – სახელმწიფო ენის თავისუფლად ფლობის გარეშე ამ ქვეყნებში მათ სამსახურებრივი

წარმატების არავითარი შანსი არ ექნებათ.

საქართველო, ამ მხრივ, იშვიათ გამოწვევას წარმოადგენს, რისი მიზეზიც ჯერ მეფის რუსეთის ერთიან იმპერიაში, შემდეგ კი საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში ყოფნა იყო. ამ ვრცელი სახელმწიფოს მთელ ტერიტორიაზე საქმის წარმოების ენას რუსული წარმოადგენდა, რის გამოც საქართველოში მცხოვრები ეროვნული უმცირესობები ქართული ენის ცოდნის გარეშეც გადიოდნენ ფონს. რუსულის კარგი ცოდნა კი სომხებს უპირატესობასაც აძლევდა ქართველებთან შედარებით, რადგან წარმოება-დანესებულებებში რუსულის მცოდნეებს პირველ რიგში ღებულობდნენ. დღეს საქართველო დამოუკიდებელი, სუვერენული სახელმწიფოა. ახლა უკვე საქმის წარმოება ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე ქართულად მიმდინარეობს, რაც არაქართულენოვან მოსახლეობას სახელმწიფო ენის შესწავლის აუცილებლობის წინაშე აყენებს. საქართველოში მცხოვრებ ეროვნულ უმცირესობებს ეს ესმით, მაგრამ ძველი პრაქტიკა ინერციით არსებობას დღემდე განაგრძობს.

ვითარება უკეთესობისკენ ნელა, მაგრამ მაინც იცვლება. ეს ნათლად სჩანს ახალციხის რაიონის მაგალითზე. საბჭოთა ხელისუფლების ბოლო წლებში ქალაქ ახალციხეში ორი ქართული სკოლა იყო თითოეული საშუალოდ, ათას-ათასი მოსწავლით, ორი რუსული სკოლა თითოეული ექვსას-ექვსასი მოსწავლით და ერთი სომხური სკოლა რვაასი მოსწავლით. რუსულ სკოლებში, ცხადია, საბჭოთა ჯარში მომსახურე რუსი ოფიცრების შვილებიც სწავლობდნენ, თუმცა ამ სკოლების მოსწავლეთა კონტიგენტის ძირითად ბირთვს მაინც ახალციხელი ეთნიკური სომხების შვილები შეადგენდნენ. დამოუკიდებლობის აღდგენის შემდგომ რუსული სკოლების მოსწავლეთა კონტიგენტი სწრაფად იწყო შემცირება – ქალაქი (და ქვეყანაც) დატოვეს რუსმა ოფიცრებმა და მათმა შვილებმა, სომეხი ეროვნების ბავშვები კი ქართულ და სომხურ სკოლებში გადანაწილდნენ. 2000 წლისთვის ახალციხის №3 სომხური საშუალო სკოლის მოსწავლეთა კონტიგენტის რაოდენობა ათასს აღწევდა. საგრძნობლად გაიზარდა ქართული სკოლების მოსწავლეთა რაოდენობაც. ამის შემდეგ კი დაიწყო ქალაქის სომხური სკოლის მოსწავლეთა კონტიგენტის შემცირება. 2016-2017 სასწავლო წლის მონაცემებით, სომხური სკოლის მოსწავლეთა კონტიგენტი 640-ს შეადგენს. მნიშვნელოვნად გაზრდილია არა მხოლოდ ქართული სკოლების მოსწავლეთა კონტიგენტი, არამედ თვით სკოლების რაოდენობაც: ამჟამად ქალაქში სამი ქართული – №1, №5, №6 სკოლაა, შესაბამისად, 932, 1391 და 284 მოსწავლით. ორი რუსული სკოლიდან ამჟამად მხოლოდ ერთი

ფუნქციონირებს, რომელსაც რუსულ სექტორზე 152 მოსწავლე ჰყავს, ქართულზე – 155.

ცხადია, ქართული სკოლების მოსწავლეთა კონტიგენტის ზრდა სომხური და რუსული სკოლებიდან გადმოსული მოსწავლეების ხარჯზე მოხდა. უნდა ითქვას, რომ ეს პროცესი ახალციხის რაიონში სრულიად ძალდაუტანებლად მიმდინარეობს და არანაირ დისკრიმინაციას ადგილი არა აქვს. ახალციხის რაიონის შერეული ქართულ-სომხური მოსახლეობის თანამშრომლობა მრავალი ათეული წლის მანძილზე ჰარმონიულად ვითარდება და ინტერნაციონალური თანაცხოვრების ქვეშარიტ მაგალითს წარმოადგენს. **საქართველო წელა, მაგრამ გეგმაზომიერად უზრუნდება დასავლეთის ცივილიზებულ ქვეყნებში აპრობირებულ პრაქტიკას.**

დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, საქართველოში მცხოვრები ეროვნული უმცირესობებში ქართული ენის სწავლების მოტივაციის ზრდა შეიმჩნევა. ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელთა ნაწილი სახელმწიფო ენის სწავლების პრობლემის გადაწყვეტას ქართულ სკოლაში შვილების შეყვანით ცდილობს, თუმცა მშობლები აქაც აწყდებიან პრობლემებს. მათ არ იციან ქართული ენა და ვერ ეხმარებიან დაწყებით კლასებში საკუთარ შვილებს გაკვეთილების მომზადების პროცესში; სკოლაში მისვლისას არაქართველი ბავშვების უმრავლესობამ არ იცის სახელმწიფო ენა. ამის გამო, ისინი საწყის ეტაპზე სწავლაში ჩამორჩებიან ქართველ მოსწავლეებს. მათ უქვეითდებათ თვითშეფასებაც; არაქართველი ბავშვების დაბალი აკადემიური მოსწრების გამო, მასწავლებელი იძულებული ხდება შეასუსტოს მოთხოვნები მათ მიმართ; უმრავლეს შემთხვევაში მასწავლებლებმა არ იციან არაქართველი ბავშვების ენა, რაც აძნელებს კომუნიკაციას მათ შორის და ა. შ.

დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ საქართველოში ორი ეთნიკური კონფლიქტი მოხდა. რა თქმა უნდა, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის კონფლიქტებს პოლიტიკური სარჩულიც ჰქონდათ, თუმცა, უნდა ვაღიაროთ, რომ ამ კონფლიქტებს ეთნიკურმა და ლინგვისტურმა დაპირისპირებამაც შეუმზადა ნიადაგი. ამიტომაც საარსებოდ საჭიროა, რომ ქართულმა სახელმწიფომ შეიმუშაოს ენობრივი პოლიტიკის გრძელვადიანი სტრატეგია, რომელშიც გათვალისწინებული იქნება, როგორც სახელმწიფო ენების (ქართული და აფხაზური) სტატუსის, ისე საქართველოში არსებული ეთნიკური უმცირესობების ენობრივი უფლებების დაცვის კონკრეტული ღონისძიებები.

ამრიგად, ზემონათქვამიდან, ვფიქრობთ, სრულიად ნათელია,

რომ ევროპული დოკუმენტების („ევროპული ქარტია“ და „რეგიონულ ან ეროვნულ უმცირესობათა ენების კონვენცია“) პრაქტიკული რეალიზაცია საქართველომ უნდა მოახდინოს **ადგილობრივი სპეციფიკის გულდასმითი გათვალისწინებით**. რეგიონული ენის სტატუსის მინიჭება სომხური (ჯავახეთი) და აზერბაიჯანული (ქვემო ქართლი) ენებისთვის, იმ პირობებში, როდესაც ქართული სახელმწიფო ძალისხმევას არ იშურებს აღნიშნულ რეგიონებში მცხოვრები არაქართველი მოსახლეობის ენობრივი, კულტურული, პოლიტიკური თუ ეკონომიკური ინტეგრაციის გაღრმავებისთვის, როდესაც ადგილობრივი სომხური და აზერბაიჯანული მოსახლეობა დიდი ინტერესით ცდილობს რუსულს ჩაანაცვლოს ქართული და როდესაც ასეთ პოლიტიკას უკვე მოაქვს საგრძნობი პოზიტიური შედეგები, აღნიშნულ ტერიტორიულ ერთეულებში რეგიონული ენის სტატუსის დამკვიდრება შეამცირებს ადგილობრივი არაქართველი მოსახლეობის მიერ სახელმწიფო ენის შესწავლის მოტივაციას, შეაფერხებს ინტენსიურად მიმდინარე ინტეგრაციის პროცესს. უკვე მომხდარი კონფლიქტების ანალიზის საფუძველზე ძნელი არ არის იმის პროგნოზირება, თუ სადამდე შეიძლება მიგვიყვანოს ასეთმა პოლიტიკამ: **რეგიონული ენების შემოღება გააძლიერებს საქართველოს სეგმენტაციას, წაახალისებს სეპარატისტულ განწყობებს, რასაც აუცილებლად მოჰყვება ახალი კონფლიქტები**. ამ კონფლიქტებში კი, პირველ რიგში, სწორედ დასახლებული რეგიონების მოსახლეობა დაზარალდება. ანუ, დაძაბულობის შენელების ნაცვლად, რაც ქარტიისა და კონვენციის მიზანს შეადგენს, მივიღებთ სრულიად სანინალმდეგო სურათს.

დამონმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. ევროპული ქარტია რეგიონული ან ეროვნული უმცირესობების ენების შესახებ, სტრასბურგი, 05. 11.1992; <https://rm.coe.int/1680301f0f>
2. ჩარჩო კონვენცია ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ, სტრასბურგი, 1.11.1995; <http://police.ge/files/>

The European Charter and the Issue of Minority Languages in Georgia

Summary

The policy of the international relations within the country, conducted by modern Georgian State is based on the rich historical traditions of our country and on the fundamental provisions of the two documents approved by the world international organizations – „**The European Charter for Regional or Minority languages**“ and the „**Framework Convention on Human Rights for Ethnic, Religious and Linguistic minorities**“. Besides, „**The Charter gives the prerogative to the authorities of the given country, taking into consideration the democratic principles, to determine the criteria basing on which a certain language spoken in the territory of this country will be given the status of the independent language**“.

It was naturally impossible that Russian occupation of Georgia, had not left its trace in every area of the social life in the country. The people of different nationalities living in Georgia always preferred their children to go to Russian schools which were widely spread all over the country and restrained the area of using the Georgian language. Additionally, this conditioned the low level of the civil identification. This in its turn caused the situation in which the ethnic groups living in Georgia perceive themselves as the representatives of the historical homeland, not as the members of the Georgian society. This is such situation which represents the main peculiarity of Georgia in comparison with the Western civilized countries. If the mentioned situation is not taken into deliberate consideration, conducting the right policy of the international relations within the country will not be successful.

After restoring independence of Georgia it became obvious that the motivation for learning the Georgian Language increased among the national minorities living in Georgia. situation is improving slowly but steadily. **The State Language regains its due position which means that the linguistic situation in the country is returning to its natural position.**

The part of population of ethnic Armenians (in Javakheti) and Azerbaijanians (in Kvemo kartli). on the ground of the wrong interpretation of the Charter and other related European documents has been pleading for years about announcing their native languages as the regional languages. This would be the great and unforgivable mistake, moreover that the Georgian State do not spare the efforts to support integration of the non-Georgian population of the regions in the linguistic, cultural, political or economical spheres, when the local non-Georgian population show great interest and try to replace the Russian language by Georgian, and when such politics has already shown positive results, introducing the status of the regional languages in the mentioned territorial entities will decrease the motivation of learning the Georgian language by the non-Georgian population and will impede the ongoing process of integration. Taking into consideration the analysis of the conflicts which happened recently, will serve to predict the results of such politics: **introducing of the status of the regional languages will encourage the segmentation of Georgia, will support separatistic attitudes and all this consequently will bring new conflicts. The main sufferers from such situation will be the population of theregions themselves. Thus, instead of improving the situation, which by no doubt is the aim of the Charter, we will receive totally opposite results.**